

შუალედური და დასკვნითი გამოცდები და შედეგების გასაჩივრება

შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში (განსაკუთრებული საპატიო მიზეზით - ოჯახის წევრის გარდაცვალება და უნივერსიტეტის სახელით საგანმანათლებლო-კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობა), გამოცდის აღდგენა დასაშვებია გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა. სტუდენტმა გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და წარუდგინოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების დამადასტურებელი არგუმენტები და მტკიცებულებები (დოკუმენტი/ცნობა). სტუდენტის განცხადება დეკანის მიერ განიხილება 2 სამუშაო დღის ვადაში და გამოიცემა დეკანის ბრძანება, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება სტუდენტს და შესაბამისი საგნის ლექტორს. ბრძანება არ საჩივრდება.

დასკვნით (ძირითად) გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია იმავე წესით, რა წესითაც შუალედური გამოცდის აღდგენა ხდება.

სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგები) არის (FX)ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“, უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო 41 ქულაზე ნაკლები ან არ გამოცხადდა, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგები (შეფასება) სტუდენტს ეცნობება შესაბამისი გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. დარეგისტრირებული საჩივარი ფაკულტეტის დეკანის მიერ რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. საჩივარი განიხილება თუკი სტუდენტი უთითებს: ა) პროცედურულ დარღვევაზე ან/და ბ) შეფასების დადგენილი წესის დარღვევაზე.

წარდგენილ საჩივარს შესაბამისი საგნის ლექტორი განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლექტორი წარადგენს მოხსენებით ბარათს დეკანის სახელზე (დარეგისტრირდება საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად) და მოითხოვს სტუდენტის შეფასების შეცვლის მიზნით შეფასების ახალ უწყისს. საჭიროების შემთხვევაში, დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. დადებითი რეზოლუციის შემთხვევაში, იმავე დღესვე გაიცემა შეფასების ახალი უწყისი.

იმ შემთხვევაში, თუკი საჩივრის (პრეტენზიის) წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება განხილული საჩივარი ან ლექტორის მიერ მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას.

კომისიას უფლება აქვს პირველივე სხდომაზე დაადგინოს სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ბსუ-ში მოქმედ წესებს, ასევე შესაბამისი საგნის სპეციფიკას. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორს. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც იცვლება სტუდენტის შეფასება, გაიცემა ახალი შეფასების უწყისი (**დანართი 2, და აკადემიური საბჭოს 2016 წლის 05 თებერვლის N5 დადგენილება**)

ბათუმის შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87

ნინოშვილის ქ., №35

ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დადგენილება №5

2016 წლის 5 თებერვალი,

ქ. ბათუმი

გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ემუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე ბსუ-საკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს გამოცდების ჩატარების თანდართული ინსტრუქცია (დანართი 1);
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „რსუ-ს ზეპირი და წერიტი გამოცდების ჩატარების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-საკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 მარტის N33 დადგენილება;
3. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 3 იანვრიდან;
4. დადგენილება დაეგზავნოს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს, მართვის ორგანოებსა და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი

გურამ ჩაგანავა

გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია (შემდეგში „ინსტრუქცია“) განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში „უნივერსიტეტი“) სწავლების ყველა საფეხურზე შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ორგანიზების, ჩატარების, საგამოცდო ნაშრომების შეფასების, გამოცდის შედეგის გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის წესს.
2. უნივერსიტეტში ჩასატარებელი გამოცდების ორგანიზებას, როგორც წესი, ახორციელებს უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრი (შემდეგში „ცენტრი“) და შესაბამისი ფაკულტეტები წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 2. გამოცდების განრიგი და საგამოცდო საკითხების წარმოდგენა

1. გამოცდების განრიგს (საგანი, ჯგუფი, დრო, ადგილი, დამკვირვებლები და სხვა) ადგენს ცენტრი (საგამოცდო ცენტრში, კომპიუტერთან მიმდინარე გამოცდის შემთხვევაში) ფაკულტეტების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით და ფაკულტეტებზე მიმდინარე გამოცდების შემთხვევაში თავად ფაკულტეტის ადმინისტრაცია. განრიგი მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით და ქვეყნდება ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე, ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე
2. გამოცდების განრიგი უნდა გამოქვეყნდეს შემდეგ ვადებში:
 - ა) შუალედური გამოცდების - გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 კვირისა;
 - ბ) დასკვნითი გამოცდების - საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა;
 - გ) დამატებითი გამოცდების - საგამოცდო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 კვირისა.
3. საგნის სპეციფიკის ან/და სხვა ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, მოტივირებული ბარათის წარმოდგენის საფუძველზე, შესაძლებელია განისაზღვროს ამ ინსტრუქციით დადგენილისაგან განსახვავებულ ვადებში გამოცდების ჩატარება.
4. საგნის ლექტორი (აკადემიური/მოწვეული პერსონალი) ვალდებულია საგამოცდო ცენტრში წარადგინოს ან გადაამუშავოს არსებული საგამოცდო საკითხები/ბილეთები შესაბამისი გამოცდის (შუალედური/დასკვნითი/დამატებითი) ჩატარებამდე არაუგვიანეს 10 დღისა.
5. ბილეთის ფორმა, საკითხების ოდენობა და შეფასების კრიტერიუმები საგნის ლექტორის მიერ განისაზღვრება სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.
6. ფაკულტეტებზე მიმდინარე გამოცდების საგამოცდო საკითხები და ბილეთები მტკიცდება შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის სხდომაზე, ფიქსირდება სხდომის ოქმში და ხელს აწერს დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

მუხლი 3. გამოცდის ხანგრძლივობა და მიმდინარეობის კონტროლი

1. წერიტი გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს: დასკვნითი/დამატებითი 2 საათს, ხოლო შუალედური 1 საათს.
2. ზეპირი გამოკითხვის შემთხვევაში გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ასტრონომიულ საათს. საგამოცდო მასალა ერთდროულად გაიცემა მხოლოდ ოთხ სტუდენტზე. მოსაფიქრებელი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს, ხოლო გამოსაცდელი - 15 წუთს.
3. საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექტორს უფლება აქვს განსაზღვროს გამოცდის სხვა ხანგრძლივობა და ფორმა, რომელიც აისახება შესაბამისი საგნის სილაბუსში
4. რამდენიმე კომპონენტისაგან შემდგარი გამოცდის შემთხვევაში, კომპონენტებს შორის შესვენება არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.
5. გამოცდის დაწყების და დამთავრების დრო უნდა ეცნობოს სტუდენტებს და დაიწეროს დაფაზე, ამასთან, ლექტორი/დამკვირვებელი ვალდებულია 15წუთით ადრე აცნობოს აუდიტორიას გამოცდის ამოწურვამდე დარჩენილი დრო.
6. საგამოცდო აუდიტორიაში გამოიყოფა ადგილი, სადაც სტუდენტი დატოვებს ჩანთას, წიგნს ან/და ნებისმიერ სხვა ნივთს, რომლის გამოყენებაც გამოცდის მსვლელობისას არ არის ნებადართული.
7. გამოცდას (როგორც ფაკულტეტზე, ასევე საგამოცდო ცენტრში მიმდინარე) საგნის ლექტორთან ერთად ესწრება დამკვირვებელი და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია გამოცდას დააკვირდეს ვიდეოთვალის საშუალებით;
8. საგამოცდო მასალის (ბილეთი, ტესტი და სხვა) დარიგებამდე მასწავლებელს უფლება აქვს მისი შეხედულებისამებრ განათავსოს სტუდენტები სამუშაო მაგიდებთან.
9. საგამოცდო მასალის დარიგებამდე საგნის ლექტორი/დამკვირვებელი ვალდებულია სტუდენტებს გააცნოს გამოცდის ჩატარების პროცედურა და შედეგების გასაჩივრების წესი.

მუხლი 4. სტუდენტის ქცევის წესი გამოცდაზე

1. სტუდენტი ვალდებულია:
 - ა) გამოცდების განრიგით დადგენილ დროს გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში (საგამოცდო მასალის დარიგების, კომპიუტერთან გამოცდის დაწყების შემდეგ) იგი გამოცდაზე არ დაიშვება;
 - ბ) გამოცდაზე დასაშვებად იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან პასპორტი), რომელიც უნდა მოათავსოს სამუშაო მაგიდის კუთხეში;
 - გ) ზედმეტი ნივთები, გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა, გამოცდის დასრულებამდე ჩააბაროს უფლებამოსილ პირს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან.
 - დ) შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს. საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ ასეთი პრეტენზია არ მიიღება.

ე) საგამოცდო ფურცელზე ამისათვის განკუთვნილ ადგილზე დააწეროს სახელი, გვარი, ფაკულტეტი, საგნის დასახელება და ლექტორის სახელი და გვარი;

ვ) არ გადაშალოს საგამოცდო ბილეთი, სანამ არ დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა;

ზ) საგამოცდო ნაშრომი შეასრულოს ლურჯი ფერის პასტით (აკრძალულია მაიდენტიფიცირებელი ნიშნის ან რაიმე სახის მინიშნების შესრულება).

თ) სამუშაოს დასრულების შემდეგ საგამოცდო ბილეთი და ფურცლები გადასცეს დამკვირვებელს/ლექტორს, კომპიუტერთან მიმდინარე გამოცდის შემთხვევაში დასრულების შესახებ აცნობოს დამკვირვებელს და ისე დატოვოს საგამოცდო ცენტრი;

2. მუშაობის დაწყება შეიძლება საგამოცდო მასალის დარიგების, კომპიუტერში შესაბამისი მასალის ჩატვირთვისა და საგამოცდო დროის ათვლის შემდეგ. დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში კი მოიხსნება გამოცდიდან.

3. გამოცდის პროცესის დროს ასევე აკრძალულია:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო, ასევე საგამოცდო თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთის გამოცდაზე შეტანა (მოიხსნება გამოცდიდან);

ბ) სტუდენტებს შორის საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება (მიიღებს ჯერ გაფრთხილებას, მსგავსი ან სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან);

დ) მობილური ტელეფონის ან სხვა რაიმე ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება კალკულატორის ნაცვლად (მოიხსნება გამოცდიდან);

ე) გადაწერა, ე.წ. „შპარგალკის“ გამოყენება.. „შპარგალკად“ შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი სახის მატარებელზე (ქაღალდი, ელექტრონული (მობილური ტელეფონი და სხვ.) და ა.შ.) დაწერილი თუ ჩაწერილი საგამოცდო საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია, აგრეთვე ნებისმიერი სახის ფურცელი, თუ იგი არ არის გაცემული საგამოცდო დავალებასთან ერთად, ან არ აქვს დამკვირვებლის ხელმოწერა (მოიხსნება გამოცდიდან).

ვ) კალკულატორის ან/და კოდექსის გადაცემა სხვა სტუდენტისათვის. ეს ჩაითვლება გადაწერის მცდელობად და ორივე გამოსაცდელი გაფრთხილების შემდეგ განმეორების შემთხვევაში მოიხსნება გამოცდიდან;

ზ) საგნის ლექტორისათვის/დამკვირვებლისათვის, საგამოცდო დავალების შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, განმეორებისას კი მოიხსნება გამოცდიდან;

4. გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს სტუდენტის მიერ დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა (ხმამალალი და ხელისშემშლელი საუბარი, სხვა პირისაგან დახმარების მიღება, საგამოცდო მასალის განზრახ დაზიანება, კარნახი, ნებართვის

გარეშე აუდიტორიაში მოძრაობა, ქცევით გამოცდის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა ან სხვა).

5. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს საგნის ლექტორის/დამკვირვებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის, გამოცდიდან მისი მოხსნისა და შეფასების გაუქმების შესახებ;
6. ამ ინსტრუქციით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება - „0“.

მუხლი 5. საგამოცდო დავალება და შეფასება

1. დასკვნითი წერითი საგამოცდო დავალება არის ანონიმური. სტუდენტმა საგამოცდო დავალების თავფურცელზე უნდა მიუთითოს საკუთარი სახელი და გვარი. გამოცდის დასრულების შემდეგ ნაშრომი იშიფრება დარგობრივი დეპარტამენტის სპეციალისტის მიერ და გადაეცემა საგნის ლექტორს, რომელიც გასწორებულ ნაშრომებს უბრუნებს დეპარტამენტის სპეციალისტს, ხოლო ქულები შეყავს ელექტრონულ უწყისში;
2. საგნის ლექტორი ვალდებულია საგამოცდო წერითი დავალება შეაფასოს შემდეგ ვადებში:
 - ა) სტუდენტები :1-დან 25 ჯგუფში – 2 დღე;
 - ბ) სტუდენტები: 25-დან 50-მდე ჯგუფში – 3 დღე;
 - გ) სტუდენტები: 50-დან 70-მდე ჯგუფში – 4 დღე;
 - დ) სტუდენტები: 70-ზე მეტი ჯგუფში – 5 დღე.
3. საგამოცდო ცენტრში, კომპიუტერთან ჩაბარებული გამოცდის შეფასება სტუდენტს ეცნობება გამოცდის დამთავრებისთანავე და კურსის შედეგების ერთიანი ამონაწერი გადაეცემა ლექტორს.
4. საგამოცდო ნაშრომში დაფიქსირებული განყენებული და საგანთან შეუსაბამო მოსაზრებები არ შეფასდება. საგამოცდო ნაშრომი, რომელსაც დაეწერება სახელი, გვარი ან რაიმე სახის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც დაკავშირებული არ იქნება საგამოცდო დავალებასთან, არ შეფასდება.
5. საგამოცდო დავალების კომპონენტებს შორის ქულები შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს:
 - ა) შემოსახაზი ტესტის თითოეული კითხვა– 0,5 ქულა;
 - ბ) „ღია კითხვა“ – 1-დან 3 ქულამდე;
 - გ) კაზუსი – 5-დან 10 ქულამდე;
 - დ) თემა – 5-დან 10 ქულამდე;

მუხლი 6. საგამოცდო ნაშრომის გაცნობა და გასაჩივრება

1. ლექტორი ვალდებულია დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა დაასრულოს შუალედური შეფასებების სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში შეტანა (დაიხურება ვადის ამოწურვისთანავე).
2. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდების შედეგების გამოქვეყნება მანამ, სანამ სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში არ იქნება დაფიქსირებული საგნის შუალედური შეფასებები.
3. საგნის ლექტორი ვალდებულია ამ ინსტრუქციით დადგენილ ვადებში საგამოცდო დავალების შედეგები გააცნოს სტუდენტებს.
4. გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. დარეგისტრირებული საჩივარი ფაკულტეტის დეკანის მიერ რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. საჩივარი განიხილება თუკი სტუდენტი უთითებს: ა) პროცედურულ დარღვევაზე ან/და ბ) შეფასების დადგენილი წესის დარღვევაზე.
5. წარდგენილ საჩივარს შესაბამისი საგნის ლექტორი განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი წარადგენს სამსახურებრივ ბარათს დეკანის სახელზე (დარეგისტრირდება საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად) და მოითხოვს სტუდენტის შეფასების შეცვლის მიზნით შეფასების ახალ უწყისს. საჭიროების შემთხვევაში, დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. დადებითი რეზოლუციის შემთხვევაში, იმავე დღესვე გაიცემა შეფასების ახალი უწყისი.
6. იმ შემთხვევაში, თუკი საჩივრის (პრეტენზიის) წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება განხილული საჩივარი ან ლექტორის მიერ მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას.
7. კომისიას უფლება აქვს პირველივე სხდომაზე დაადგინოს სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ბსუ-ში მოქმედ წესებს, ასევე შესაბამისი საგნის სპეციფიკას.
8. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორს.
9. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც იცვლება სტუდენტის შეფასება, გაიცემა ახალი შეფასების უწყისი.

მუხლი 7. გამოცდების ჩატარებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები

1. გამოცდების ჩატარებას და მონიტორინგს ახორციელებენ: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში; ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურები; სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტი; მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის პროგრამების მართვის სამსახური; გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრი; შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია; დარგობრივი დეპარტამენტები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები და უფლებამოსილი დამკვირვებელი პირები, რომლებიც შეირჩევიან აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული ან/და დამხმარე პერსონალისაგან.
2. დასკვნითი/დამატებითი საგამოცდო ვადის ამოწურვის შემდეგ, საგამოცდო ცენტრი / დარგობრივი დეპარტამენტი ვალდებულია პერსონალის მიერ წარმოდგენილი

საგამოცდო ბილეთები/საკითხები გადასცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია დაადგინოს წარმოდგენილი საგამოცდო ბილეთების/საკითხების შესაბამისობა სასწავლო კურსის სილაბუსთან. ეს სამსახური დასკვნას წარუდგენს რექტორს და საჭიროების შემთხვევაში იღებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

3. საგამოცდო პერიოდის დასრულების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე რექტორის ბრძანებით შეიძლება შეიქმნას კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისა და იმ პირთაგან, რომლებიც მონაწილეობას არ იღებდნენ საგამოცდო ნაშრომის გასწორებასა და მისი აპელაციის წესით განხილვაში. კომისია შეისწავლის საგამოცდო ნაშრომს და შესაბამის დასკვნას წარუდგენს რექტორს.

მუხლი 8. გამოცდის დამკვირვებელთა უფლება-მოვალეობები

1. გამოცდის ჩატარების უზრუნველსაყოფად ცენტრის ხელმძღვანელის ან/და ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით განისაზღვრება დამკვირვებელთა რაოდენობა და მათი სამუშაო განრიგი. საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე მოიწვევა შესაბამისი პერსონალი და მათთან ფორმდება ხელშეკრულება.

2. დამკვირვებელი ვალდებულია:

- ა) გამოცდის ჩატარების ადგილზე გამოცხადდეს დადგენილ დროს (გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ნახევარი საათით ადრე).

- ბ) საგამოცდო აუდიტორიაში ჩაიბაროს საგამოცდო ფურცლები, დაურიგოს სტუდენტებს; ამის შემდეგ დროის ათვლის შესახებ გააფრთხილოს სტუდენტები;

- გ) დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას და უზრუნველყოს გამოცდაზე სტუდენტთა ქცევის წესის მოთხოვნების დაცვა;

- დ) ამ ინსტრუქციის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს მისცეს გაფრთხილება, მოხსნას იგი გამოცდიდან, საგამოცდო ფურცელზე გააკეთოს აღნიშვნა - „მოხსნილია გამოცდიდან“ შესაბამისი მიზეზის მითითებით და გადასცეს ცენტრის პერსონალს;

- ე) სტუდენტის პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვებზე გასცეს პასუხი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე პრობლემის არსებობის შემთხვევაში მიმართოს ცენტრის უფლებამოსილ პირს;

- ვ) საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე გამოცდის დასრულების შესახებ გააფრთხილოს სტუდენტი;

- თ) საგამოცდო ნაშრომები ჩაიბაროს საგამოცდო ფურცლებთან ერთად და გადასცეს ცენტრის უფლებამოსილ პირს;

3. წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში დამკვირვებლის მიმართ დაიწყება დისციპლინური საქმისწარმოება ან/და შეუწყდება მას შრომითი ხელშეკრულება.